პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

25 აგვისტო
ხუთშაბათი

1917 წ. მოსკოვში დაიწყო სახელმწიფო თათბირი.

გაფიცვა—პროტესტი მოსკოვის პროლეტარიატისა თათბირის წინააღმდეგ მოსკოვსა და მის მიდამოებში. გაიფიცა 400,000 მუშა.

კიევში მოხდა საბჭოს სხდომა თათბირის წინააღმდეგ პროტესტით.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის ბეჭდვა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური:

დანიშნულია საოლქო კომისია კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების გასაწმენდად.

შემდგარია კომისია წარმოება-დაწესებულებებში შტატების შესამცირებლად.

ლატვიაში და სხვა სახელმწიფოებში მზადდება პროვოკაციული თავდასხმანი მთავრობებზე და უცხოელთა წარმომადგენლებზე, რის თაოსნობა უნდათ საბჭოთა რუსეთს გადააბრალონ და მის წინააღმდეგ აამხედრონ უცხო სახელმწიფოები.

№ 143 ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 1921 წ. № 143

რუს. კომ. პარტიის შემამოწმებელი, გადამსინჯველი და გამწმენდავი ცენტრალურ კომისიის მიერ დანიშნულია კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების გასაწმენდად საოლქო კომისია, რომლის შემადგენლობაში თავმჯდომარედ შედის ამხ. მავრინი (პიტერის გუბა) და წევრებად: ნაზარეტიანი ამაიაკი და დუმბაძე ლ. დო.

დადგენილება

ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში პარტიის გადასინჯვაზე, გადახედვაზე და გაწმენდაზე

1. უკრაინაში და ციმბირში სრულიად უკრაინის და სრულიად ციმბირის კომისია პარტიის გადასასინჯათ შესდგება 5 კაცისაგან.

2. სრულიად ციმბირის და სრულიად უკრაინის კომისიას ევალება პარტიის გასაწმენდ საგუბერნიო და სამაზრო კომისიების ორგანიზაცია.

3. ორგანიზაციისთანავე საგუბერნიო კომისიები დაუყოვნებლივ შეუდგებიან მუშაობას. საგუბერნიო კომისიის შემადგენლობა სასწრაფო წესით წარედგინება საბოლოო დასამტკიცებლად რ. ფ. პ. ცენტრალურ კომისიას.

2.

4. თურქესტანის ცეკას ყირგიზეთის ცეკას, შორეულ აღმოს. ბიუროს სამხრეთ აღმოს. ბიუროს და კავბიუროს მომქმედ ოლქებში საოლქო კომისიები მტკიცდება ცენტრ. კომისიის მიერ.

5. აღნიშნულ კომისიებს ევალებათ საგუბერნიო კომისიების ორგანიზაცია, რომელნიც წარდგენილი უნდა იქნენ დასამტკიცებლად რ. კ. პ. ცენტრ. კომისიის წინაშე.

6. საოლქო კომისიებს ევალებათ ხელმძღვანელობა და ინსტრუქციების მიცემა საგუბერნიო და სამაზრო კომისიებისათვის.

7. საოლქო კომისიები პირობას დებენ ყოველთვიურად მიაწოდონ ცენტრ. კომისიას მოკლე ანგარიშები, ინსტრუქციის ასლები ცირკულიარები და მათ მიერ გამოცემული დადგენილებანი პარტიის გადასინჯვის, გადათვალიერების და გაწმენდის შესახებ.

8. კომისიები ზემო აღნიშნულ ოლქებში შესდგება სამი პირისაგან.

3.

9. კომისიები კომუნისტური პარტიის გადასასინჯათ და გასაწმენდათ უფრო წვრილ რესპუბლიკებში და ოლქებში, როგორიცაა მაგალითად: საათათრეთი, ბელორუსია, ბაშკირეთი ვოლგის სანაპირო გერმანელთა, ყირიმისა, ჩუვაშეთის, კალმიკების, ვოტიაკების, მარიასკისა, კორელიისა, კომის ხალხთა და სხვ. უთანასწორდება გუბერნიისას. კანდიდატთა დამტკიცების წესი კომისიის წევრობისათვის დაქვემდებარება, და აგრეთვე წესი აღრიცხვისა იმნაირადვე მტკიცდება როგორც სხვა გუბერნიების პარტიის გადასინჯვის, გადათვალიერებისა და გაწმენდის კომისიებისათვის.

10. მოსკოვში, ვინაიდან არსებობენ მთავრობის ცენტრალური დაწესებულებანი და მიუცილებელი საჭიროა, დაწვრილებითი გადასინჯვა და გაწმენდა კომუნისტურ იაჩეიკებისა, კომისია შესდგება 5 კაცისაგან. რ. კ. პ. (ბოლშევიკების) პირადი შემადგენლობის გადასინჯვისა, გადახედვის და გაწმენდის ცენტრ. კომისია.

მტერი გვაფხიზლებს!

სულ რაღაც ექვსი თვე არ გასულა, რაც ქვეყანათ თითქო ზავი ჩამოვარდა, მშვიდობიანობა დამყარდა და საბჭოთა რესპუბლიკები საკუთარი მეურნეობის აღორძინებას შეუდგენ. ამ უკანასკნელ თვეში თითქო სულ გაქრა მტრის მხრიდან თავდასხმის მოლოდინი და ჩვენც ერთიანათ მივეცით თავი ერთ ფიქრს და ერთს ზრუნვას. ეს არის სასურსათო საკითხი. ეს [illegible] დამშეული ქვეყნის მიშველება და მისთვის არსებობის პურის მიწოდება. საბჭოთა რესპუბლიკების კოალიცია, კავშირი, მხოლოთ შრომის და სურსათის ფრონტზე იბრძვის დღეს. ყველა სახელმწიფოებრივი ძალები დაძაბულია იმ მიზნით, რომ ქვეყანა განსაცდელს გაჰშორონ და ფართო, თავისუფალ-ეკონომიურ აღმშენებლობის გზაზე გამოიყვანონ. ყველაფერი შრომის და წარმოების ფრონტზე, ყველა ძალები სასურსათო ფონდის შესადგენათ! აი საღვთისო ლოზუნგი საბჭოთა რესპუბლიკებისა და მათ შორის ჩვენიც.

მაგრამ მტერი ფხიზლობს და ჩვენც გვაფხიზლებს. მას მოსვენებას არ აძლევს ჩვენი ასეთი ყოფა.

მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ: ის ხან პირდაპირ იბრძვის, ხან კი არაპირდაპირ, როგორც საჭიროთ დაინახავს.

მართალია მან საქვეყნოთ ზავი გამოაცხადა და საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებაც დასდო, მაგრამ მას თავისუფლებისთვის მებრძოლ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. ჩაჰქიდა რა ანტანტამ მაგრათ ბჭყალები ოსმალეთის ძველ სტამბოლს და იქ მყოფ ძველ მთავრობას, მისი საშუალებით და სახელით ის ებრძვის ახალ ოსმალეთს. მას მან ახალი მტერიც მიუსია. ეს არის საბერძნეთი. ანტანტის დიპლომატიამ შესძლო საბერძნეთი ჩაება ოსმალეთთან ბრძოლაში და საქმე იმდენათ გაამწვავა, რომ თვით საბერძნეთში ომის გამო მოსალოდნელ რევოლიუციის შიშმაც კი ვერ შეაჩერა ეს ბრძოლა.

საბერძნეთის რეაქციონური მთავრობა მეფის მეთაურობით იმდენათ გათამამდა ანტანტის ჩაგონებით და დახმარებით, რომ ანგორის დაპყრობაც კი მოიწადინა.

აი რამ ააჭყლოპინა ამას წინათ საზღვარგარეთ გადახვეწილი და შინ დარჩენილი ჩვენი მენშევიკები, რომელთაც თავიანთი შავი ოცნება ანტანტისა და საბერძნეთის გამარჯვებებზე დაამყარეს, მრავალ ფეროვანი ჭორები შეთხზეს და ნიშნის მოგებით მუქარა შემოგვითვალეს: აბა მოვდივართ და გამაგრდითო.

მათი ბანაკიდან გამოსულმა ცრუ რადიომ გვაუწყა კიდეც, რომ ანგორა ქემალისტებმა დასცალეს, რომ საბერძნეთის სამხედრო ფლოტი შავი ზღვის ნაპირებისაკენ წავიდა და მალე ბათუმზედაც იერიშს მიიტანსო.

მართალია ანგორა ქემალისტებს არ დაუცლიათ, არც ბერძნებს მიუტანიათ იერიში ბათუმზე, მაგრამ უკანასკნელ დღეების რადიო მენშევიკების სასიამოვნოთ დაჟინებით იმეორებს: საბერძნეთის სამხედრო ფლოტი ანატოლიის ნაპირებისაკენ დაიძრა და ერთ-ერთ ნავთსადგურს, თუმცა წვრილს, მაგალითათ რიზეს ყუმბარები დაუშინაო.

რიზე ეს ჩვენი მეზობელი, ნაცნობი ნავთსადგურია და მისი ბედი კერძოთ ჩვენთვის, დიდათ საყურადღებოა, ვინაიდან მისი დაცემა სამხედრო ფრონტს გახსნიდა თითქმის ჩვენს საზღვრებზე.

ამას გარდა სამხედრო მდგომარეობა რომ რთულდება ამ მხრით, ეს უკანასკნელ ცნობებიდანაც სჩანს. სახელდობრ იქიდან, რომ რუმინია, რომელიც დღემდე თავს იკავებდა და ანტანტის გავლენას თითქო არ ემორჩილებოდა, საქვეყნოთ აცხადებს, რომ იგი ომში მონაწილეობას მიიღებს, რა თქმა უნდა საბერძნეთის მხარეზე, თუ მას შესაფერი ნადავლი შეხვდება წილად, თუ („საკმაო კომპენსაციას მივიღებთ“), რაზედაც ცხადია, ანტანტა დიდი სიხარულით დასთანხმდება, ყოველ შემთხვევაში სიტყვით მაინც.

ამნაირად მტერი გვიახლოვდება და ცდილობს მახვილი ჩაგვცეს ზურგიდან სწორედ იმ დროს, როცა მთელი ჩვენი არსება მხოლოდ ეკონომიური საჭიროებით არის შთანთქმული, როცა საარსებო განსაცდელი კარს გვადგია ისე ვართ ამით დასაქმებული, რომ პირის მიბრუნების დროც არა გვაქვს. მაგრამ მტერი ამით ერთ დიდ სიკეთეს გვიშვრება: იგი თავისი ვერაგობით ჩვენ მხოლოდ გვაფხიზლებს.

ფხიზლად იყავით, გვეუბნება ის, ყოველ შემთხვევისათვის მზად უნდა იყოთ, რაგინდ დიდი გასაჭირი გადგეთ კარს, ჩვენ მაინც თქვენი დაუძინებელი მტერი ვართ და ყოველთვის მზად ვართ შეიარაღებული ძალით თავს დაგესხათ.

დიახ, ეს პროლეტარიატის მესვეურებმაც კარგათ უწყიან. მათ ეს თავიდანვე გაითვალისწინეს და ამ შემთხვევებისთვის შეჰქმნეს ძლევამოსილი მუდმივი ლაშქარი, რომელსაც ეწოდება წითელი არმია და რომლის ერთი მოზრდილი ნაწილს ჩვენი, საქართველოს წითელი ლაშქარი შეადგენს.

აი ის ძალა, რომელსაც დაემყარება საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო კავშირი.

საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებს თავიანთი მუშურ-გლეხური მთავრობების ხელმძღვანელობა-მეთაურობით კიდევ შესწევთ ძალა ყველაფრით გაამაგრონ თავიანთი დამცველი წითელი არმია, თუნდაც ისინი სურსათის მხრით უკანასკნელ მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

პროლეტარულ კომუნისტური სახელმწიფოც სწორედ იმით განსხვავდება ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სახელმწიფოსაგან, რომ იგი განსაცდელის ჟამსაც ისეთივე ერთსულოვნობით მოქმედებს, როგორც მშვიდობიანობის დროს, რომ იგი განსაცდელის ჟამსაც ისე, როგორც ყოველთვის, თავის თავში ჰპოულობს ყველა თავის ძალების გამაერთიანებელ პრინციპსა და ინტერესს და არ იშლება - იქსაქსება ისე, როგორც ეს კლასობრივ წინააღმდეგობათა და მეტოქეობის მეოხებით ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ საზოგადოებას ემართება.

საბჭოთა რესპუბლიკები, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგებიან, წითელ არმიას გვერდში ამოუდგებიან და მტერს ყოველთვის შესაფერ პასუხს გასცემენ.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

ბათომი. (ტელ. 23 აგვ.). იუსტიციის განყოფილება ხსნის საკონსულტაციო ბიუროს ბათომისა და მისი ოლქისათვის უფასო იურიდიულ დახმარების აღმოსაჩენად.

— საზოგადო კვების განყოფილება შეუდგა მუშა მოსამსახურეთათვის დარიგებას: ერთი მეოთხედი გირ. თამბაქოსი, 250 ცალი პაპირ., 3 კოლოფი ასანთის და ერთი მეოთხედი გირ. ჩაისას.

— ხელოვნების მოღვაწეთა საზოგადოება აწყობს საღამოს გარდაცვალებულ მწერალ ა. ბლოკის საპატივსაცემლოდ.

— მოვიდა ოსმალეთიდან ოთხი სამტვირთო იალქნიანი გემი, ფქვილით, შაქრით, ფართლეულით, ფეხსაცმელით და სიმინდით დატვირთული.

— გავიდა 5 გემი ნავთით. მოვიდა გემი „პელტელი“ 6000 მგზავრით და 300 ფ. თამბაქოთი. გავიდა იტალიური გემი „პალატსი“.

— რევტრიბუნალმა გაამართლა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ლომიძე, რომელსაც ბრალდებოდა კონტრ-რევოლიუციონერობა და მექრთამეობა.

—მოელიან 35 ვაგონ ძვირფას ხეტყის მასალას, რომელიც შეადგენს საექსპორტო ფონდს საზღვარგარეთელ საქონელზე გადასაცვლელად.

— საგარეო ვაჭრობა იწვევს სპეციალურ კომისიას ამიერ კავკასიის კოოპერატივებისათვის საზღვარ-გარედ საქონლის შესყიდვის უფლების მიცემის საკითხის გამოსარკვევად.

— განზრახულია სტამბოლში მოეწყოს შესანახი ბაქოს ნავთის პროდუქტებისა, რომელიც დანიშნულია საზღვარგარეთ გასაყიდებლად. სტამბოლში წარმოებს მოლაპარაკება ამერიკულ მისიასთან საქონლის გაცვლის შესახებ.

—27 ივლისიდან ქალაქსა და ოლქში ხოლერით ავადმყოფობის შემთხვევა არ ყოფილა. ჯანმრთელობის კომისარიატმა შეამცირა შტატი 85 დან 56 კაცამდე.

— უკანასკნელ დღეებში მოვიდა 6 იალქნიანი გემი შეშით და სიმინდით.

—გავიდა ერთი ბატარია. სექტემბრიდან მუშაობას დაიწყებს ორი დასასვენებელი სახლი ქობულეთში და მწვანე კონცხზე.

შულავერი. (ტელ.) შაბათს 13 აგვისტოს შესდგა ეკატერინოფელდის საბჭოთა დაწესებულებათა მოსამსახურეთა კრება. უმთავრესად იარჩიოდა საკითხი ვოლგის დამშეულთა დახმარების შესახებ. დამშეულთათვის ყოველმხრივ დახმარების მიზნით დადგენილ იქნა ყოველთვიურად გაიღონ ჯამაგირის 5 პროც. და თვეში ორი დღის პურის ულუფა, გარდა ამისა შესწირონ ივნისის თვის ჯერ მიუღებელი პაპიროსები, თამბაქო, ნავთი, საპონი. კრება გათავდა ინტერნაციონალის სიმღერით.

— კვირას 14 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე ეკატერინოფელდში შესდგა კომპარტიის მიერ მოწყობილი მოსამსახურეთა და უპარტიოების მიტინგი. მიტინგი კარგად ჩატარდა. დაესწრო მრავალი გლეხი, წითელ არმიელი და მოსამსახურე ხალხი. ორატორები ეხებოდნენ სასურსათო გადასახადის მნიშვნელობას და წითელ ლაშქარს, რომელმაც ღირსეულად შეასრულა დაკისრებული ფრონტის ამოცანები.

ბორჩალოს ჯანმრთელობის განყოფილებაში არსებულ ცნობების მიხედვით, ხოლერის მიმდინარეობა ასეთი იყო: 15 ივლისიდან 10 აგვისტომდე აღნუსხულია: შულავერში ხოლერით საეჭვო 6 კაცი, გარდაიცვალა 3, არის 3; ეკატერინოფელდში იყო 5 შემთხვევა, მორჩა 2, გარდაიცვალა 3. სხვა ავადმყოფობას ადგილი არ ჰქონია.

სომხეთი.

ოსმალეთის სომხების დაბრუნება სომხეთში.

ერევანი. სომხეთის გარეშე საქმეთა კომისარმა [illegible] მიმართა ოსმალეთის აღმოსავლეთის ფრონტის უფროსს ქიაზიმ კარა-ბექირს შემდეგი წერილით: „საბჭოთა სომხეთის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს პატივი აქვს გთხოვოს თქვენ, რათა შეგვატყობინოთ თუ რა მდგომარეობაში არიან სომხეთის მოქალაქენი, რომელნიც ცხოვრობენ დღეს დღეობით დიდ ეროვნულ ყრილობის ტერიტორიაზე ოსმალეთში, და შეუძლიათ თუ არა მათ დაბრუნდნენ სომხეთში, ჩვენი მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა სომხეთის მოქალაქენი, რომელნიც მიისწრაფვიან სამშობლოში დაბრუნებას, არ შეხვდებიან არავითარი დაბრკოლებანი ოსმალოთა-მმართველობის მხრივ და პირიქით ისარგებლებენ დახმარებით. მოვალეობად ვთვლი გაცნობოთ, რომელთაც სურვილი გამოსთქვეს, სამშობლოში დაბრუნებისა, მიიღეს საბჭოთა მართველობიდან სრული ამისი შესაძლებლობა.

რუსეთი

ბრძოლა შიმშილთან

პეტროგრადი 12 აგვისტო. შესდგა პეტროგრადის განყოფილება რუსეთის კომიტეტისა დამშეულების დასახმარებლად. ინიციატორთა ჯგუფში შევიდნენ მაქსიმ გორკი, აკადემიკი ოლდენბურგი, აკადემიის თავმჯდომარე კარპინსკი, აკადემიკი ფორტუნატოვი და სხვ. 1 აგვისტოს შესდგა ორგანიზაციული სხდომა, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო ყოფილმა ქალაქის და თათბირის წევრებმა, ხელოვნების წარმომადგენლებმა, ლიტერატორებმა და სხვამ. ადგილობრივი კომიტეტი დახმარებას გაუწევს მთელი რუსეთის კომიტეტს და ჩრდილოეთის რაიონს.

ბეჭდავები დამშეულებს.

ბეჭდავთა კავშირმა გამოუშვა ერთ დღიური გაზეთი „პოვოლჟიეს გლეხობა“ გაზეთი გამოვიდა 100 000 ცალი გაასაღეს 100 მილიონი მანეთის და გადაგზავნეს დამშეულთა ფონდში.

ბრძოლა სიმშილობასთან

ჟურნალი—დამშეულთა დასახმარებლად.

მოსკოვი, 2 აგვ. პეტროგრადის განყოფილებას სახელმწიფო გამომცემლობისას, მოუსავლობისაგან დაზარალებულ მოსახლეობისადმი დახმარების აღმოჩენის მიზნით, განზრახული აქვს დიდ სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალის გამოცემა. სარედაქციო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: მ. გორკი, იონოვი, მოროზოვი, ლუნაჩარსკი, ოლდენბურგი, ბენუა და სხ.

კასპიის ზღვის თევზი და სიმშილი.

ბაქო, 18 აგვ. რ. ს. ფ. ს. რ. სურსათის მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობის და კერძოდ განცდილ გაჭირვებით გამოწვეულ სიძნელის გამო ხორცის და თევზის მომარაგებაში, რის წყალობითაც დაიწყო სურავანდის ავადმყოფობის გავრცელება, ცენტრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კასპიის ზღვის თევზს, როგორც სანოვაგეს, რომელიც რამდენადმე შეასუსტებს ჯარისა და მოსახლეობის სასურსათო გაჭირვებას. 11 ივნისს გაიცა სასწრაფო ბრძანება თევზის დასაჭერად მთელი კასპიის ზღვის სანაპირო რაიონში, რის შედეგათ აგვისტოს 11 შეიკრიბა 259 ვაგონი სელიოდკა, სადგურებზე მიტანილია გემებით 37 ვაგონი, ურმებით 47 და ავტომობილებით 86 ვაგონი. პეტროვსკში გადასატვირთავად გემებზე დატვირთულია 217 ვაგონი და კიდევ ცალკე 370 ვაგონი. ამ მუშაობასთან ერთად თევზის გასატანად სწარმოებდა უკანასკნელისათვის საჭირო მარილის ამოღება, რომელმაც საანგარიშო პერიოდამდე კულის მარილის სარეწზე ამოღებულია 1,600,000 ფუთი.

იტალია და შიმშილი რუსეთში.

მოსკოვი. 11 აგვისტო იტალიის საზოგადო აზრი, საფრანგეთსა და გერმანიასთან შედარებით, გამოსთქვამს გულცივობას რუსეთში არსებულ შიმშილისადმი. ამისდა მიუხედავად გაზ. „სეკოლიას“ სიტყვით სოციალისტების ჯგუფმა პალატაში შეიტანა წინადადება დაევალოს მთავრობას იკისროს თაოსნობა რუსეთში მედიკამენტებისა და სურსათ სანოვაგის გასაგზავნათ საერთაშორისო ორგანიზაციის მოსაწყობად.

რუსეთის ემიგრაცია და სიმშილი.

პეტროგრადი. 14 აგვისტო. (დეპეშით). გაზეთ „პოსლედნი ნოვოსტი“ში რომელიც გამოდის პარიზში მილიუკოვის რედაქტორობით, დაბეჭდილია მოწოდება სათაურით „დაეხმარეთ“. აღნიშნავს რა უბედურებას, რუსეთზე დატეხილ მოუსავლობის გამო, გაზეთი ამბობს: „შეუძლებელია იმედის დაკარგვა და გულხელის დაკრეფა, როდესაც საქმე ეხება ამგვარ დიდ უბედურებას. სასწრაფო დახმარება აუცილებელია: იგი უნდა აღმოჩენილ იქმნეს“.

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეცხრე (29 ივნისი)

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 142)

იტალიის სოციალისტური პარტიის დელეგაციის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. მაფის.

ამხ. მაფი. (იტალ. სოც. პარ.) იწყებს იმაზე მითითებით, რომ ამხ. ლაძარის დამაკმაყოფილებელ სიტყვასა და ამხ. ლენინის უბრალო, ძლიერი და ნათელი სიტყვის შემდეგ მას თითქმის არც არაფერი ეთქმის. მას სურს გამოიყენოს თავისი სიტყვა მხოლოთ: პროფესორ ჯენარის „მისტიფიკაციის“ გამოსამჟღავნებლათ, რომელმაც ჩამოიტანა აქ ათი ათასი ვერსიიდან სიმართლის ნაგლეჯები, რომლებითაც შეიძლება აქ ყველაფრის დამტკიცება რაც გსურთ. ჯენარი თვითონ იყო პარტიის მდივნათ და მიუხედავათ ამისა მაინც არ დახურა მაშინ ტურატის ჟურნალი, რომელიც გაატარა მან აქ ასეთ სასტიკ კრიტიკაში. ეს იმიტომ, რომ ყველა სეკრეტარიატების დროს იტალიის სოციალისტური პარტია ყოველთვის აკეთებდა იმას, რაც საჭიროა და ყოველთვის ერთსა და იმავეს. შემდეგ ორატორი ამგვარათვე უარყოფს ჯენარის დანარჩენ საბუთებსაც (ადგილებიდან განუწყვეტლივ ისმის მკაცრი პროტესტები). ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა არ უნდა იყოს. ბურჟუაზია იარაღდება და შეტაკებაც აუცილებელია.

შეტაკების დროს ოპორტუნისტები ზიანს მოგვიტანენ, მაგრამ უკეთესია მაინც მათი გამორიცხვა მაშინ, როდესაც ნათელი გახდება ეს აუცილებლობა ფართო მასებისათვის.

იტალიის პარტიამ თავის კონგრესზე ლივორნოში, ამბობს შემდეგ მაფი, დაადგინა, რომ ის დაემორჩილება კომინტერნის ყოველგვარ დადგენილებას, ამავე დროს მაფი სიტყვას იძლევა, რომ უახლოეს პარტიულ ყრილობაზე ის ხმას მისცემს კონგრესის დადგენილებებს. ამიტომ ის ფიქრობს, რომ არავითარი საბუთი არაა იმისთვის, რომ გამორიცხულ იქნეს იტალიის სოციალისტური პარტია კომინტერნიდან.

და ბოლოს ამხ. მაფი თხოვს გამოგზავნონ კომინტერნის აღმასკომის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რომელიც იცხოვრებს რა ადგილობრივათ იტალიაში, შეუფარდებს კითხვების გადაჭრას ადგილობრივ პირობებს და იქვე ნიადაგს გამოაცლის გაუგებრობას.

ამხ. რაკოვსკი. აღნიშნავს იტალიაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. პროლეტარიატის დანაწილებამ გაუადვილა ბურჟუაზიას დაეწყო აშკარა და გაფთრებული შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ. გავხადოთ ამისთვის პასუხისმგებლად იტალიის კომუნისტები, რომლებიც ერთგული დარჩენ თავის სიტყვის, რომელიც მისცეს მათ მე 2 კონგრესს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. დამნაშავეა სერატის უნიტარისტების ფრაქცია, რომელმაც ამჯობინა 14.000 რეფორმისტი 58.000 კომუნისტს.

იტალიის რეფორმიზმი შეიძლება შეედაროს ხნოვანებით გერმანიისას. ის უნცროსია თვით ბერნშტეინზე. მან მოშხამა იტალიის პარტია ომის დროს. როდესაც ორატორს მის რევოლიუციონურ მოღვაწეობისთვის ცილს სწამებდა იტალიის პრესა გერმანიის აგენტობაში, „ავანტი“ არ გამოდიოდა მის დასაცავათ—რეფორმისტების არსებობამ არ მისცა შეძლება იტალიის პარტიას ეტარებინა პატიოსანი რევოლიუციონური ხაზი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ანტანტამ უფრო ნაკლები დიპლომატია იხმარა, რათა ჩაეთრია იტალია ომში, ვიდრე იტალიის პარტიამ, რათა დაეფარა ყველა სკანდალები ტურატისთან. ომის დროს ტურატის, სიმართლე უნდა ითქვას არ უღალატნია თავისი წარსულისათვის. ის ისეთივე რეფორმისტი და ნაციონალისტი დარჩა, როგორიც იყო. ის მტერი იყო რუსეთის რევოლიუციის არ უხდება თავის მართლება რეფორმისტებისა და ცილისმწამებლობის წინაშე. მაგრამ ეს რეფორმისტები და ცილისმწამებლები წვეთობით შხამს ასხამენ იტალიის პროლეტარიატის ხელში, უხატავენ რა მას რევოლიუციას, როგორც რაიმე საქორწინო პროცედურას, რომელმაც არ იცის არც ტერორი, არც სიმშილი. ტურატის დასაცავათ მთელი წლის განმავლობაში იხზება სპეციალური თეორიები, რათა დაამტკიცონ, რომ სერატი უკეთესი კომუნისტია, ვიდრე თვით კომინტერნი, აგრარულ საკითხშიც, ნაციონალურ საკითხებშიც და ინგლისსა და ჩრდ. ამერ. შეერ. შტატებში კომუნისტურ ტაქტიკის საკითხშიც. ამისათვის ივიწყებენ ადგილისა და დროის ყველა გარემოებებს თხზავენ რაღაც აბსტრაქტიულ კომუნისტურ პარტიას. მოძრაობას ინგლისსა და შეერთ. შტატებში ზომავენ იტალიის საზომით, და ინგლისში გადააქვთ იტალიის პირობები. ყველაფერს ამას შვრებიან იმისთვის, რომ გაამართლონ სერატის დაყოვნება იგონებენ განსაკუთრებულ თეორიას სპეციალისტებს. სერატი, შეხედეთ ცუდი კომუნისტია, მაგრამ ის საუცხოვო საპარლამენტო სტრატეგია, დარაგონა, მართალია, რეფორმისტია მაგრამ ის პოპულიარულია შრომის კონფედერაციაში. გამოიგონეს პარტიის ერთიანობის თეორია. რატომ არ ფიქრობდა ლაძარი ერთიანობაზე ბერნში, კინტალში და ციმერვალდში. თუ კი ერთიანობის პრინციპი ასეთი საყოველთაოა, განყენებული პრინციპია, მაშინ ის რაც არ უნდა იყოს მაინც უნდა იქნეს დაცული, და ამიტომ არც უნდა იქნეს დარღვეული მე-2 ინტერნაციონალის სახელოვანი ბიურო და არც მოწონებული შეიდემანელებთან და დამოუკიდებლებთან რასკოლი გერმანიაში. მაგრამ თქვენებურათ იტალია წარმოადგენს რაღაც განსაკუთრებულ გამონაკლისს ყველა ქვეყნებიდან. როგორი ორიგინალური ნაციონალისტური კომუნიზმია! სხვათა შორის, ეს ყველა ქვეყნის ყველა ოპორტუნისტების ჩვეულებრივი არგუმენტებია. საფრანგეთის ოპორტუნისტები ამბობდენ, რომ გერმანელები ნაციონალისტები არიანო, ხოლო რენოდელი კი სოციალისტურ აღთქმის საუკეთესო დამცველიო. გერმანელი ოპორტიუნისტები აცხადებდენ ფრანგებს ნაციონალისტებათ, ხოლო თავიანთ თავს კი მარქსის საუკეთესო მოციქულებათ. ეს ცნობილი ისტორიაა. თქვენ შექმენით სპეციალისტების თეორია, მაგრამ თქვენი სოციალისტ დეპუტატებით შეგიძლიათ იშოვოთ სამინისტრო პორტფელები, ხოლო რევოლიუციას კი მათთან ვერას დროს ვერ მოახდენთ. დარაგონასთან და რიგოლასთან დიდებულათ შეიძლება საბოტაჟის გამოცხადება მელითონე მუშების მოძრაობისათვის, მაგრამ შეუძლებელია რევოლიუციის მოხდენა იმ პარტიის დახმარებით, რომელიც ცდილობს დაფაროს მუშებისაგან ყველა დავა ბელადებს შორის. ყველა ამითი შეგიძლიათ მხოლოთ დაუკარგოთ მუშათა კლასს რწმენა თავის საკუთარ ძალებში, რევოლიუციაში. მაგრამ რას იქმთ თქვენ? სად წახვალთ? წამოხვალთ თქვენ რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთად კომინტერნში, თუ დაბრუნდებით ვენაში ან ამსტერდამში? ან და შეიძლება შექმნათ 2 სამ-მეოთხედ ინტერნაციონალი? არა. თქვენ ძალიან ბევრს სწერდით თვითონ შეიდემანელების წინააღმდეგ, დამოუკიდებლების წინააღმდეგ, საფრანგეთის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, და იმ დღეს, როგორც წინადადებას მისცემთ იტალიის პროლეტარიატს დაუბრუნდეს მათ, ის მიგატოვებს თქვენ. იტალიელი ამხანაგები ამბობენ აქ, რომ ყრილობამ ლივორნოში დაადგინა დაემორჩილოს მე-3 კონგრესს, როგორც არ უნდა იყვეს. მისი გადაწყვეტილებები. მაგრამ მაშინ საჭირო არაა ახალი პარტიული ყრილობის მოწვევა საკმარისია იცნოს პარტიამ კომინტერნის გადაწყვეტილება, თქვენ აქ უნდა განაცხადოთ ნათლათ მთელი გაერთიანებული პროლეტარიატის წინაშე, მისი საუკეთესო წარმომადგენლების წინაშე, რომ თქვენ, იტალიის პარტია, უერთდებით უსიტყვოთ იმ მსოფლიო პროლეტარიატის გადაწყვეტილებებს, რომელიც შეიკრიბა მოსკოვში თავის მე 3 კონგრესზე.

ამხ. კლარა ცეტკინა ამბობს, რომ ლაპარაკია არა ერთეულ ბელადებზე, არამედ კომპარტიის ბედზე. მუშათა კლასის თანამედროვე მდგომარეობა იტალიაში მეტის მეტ აუცილებელ საჭიროთ ხდის ერთიან, ძლიერ კომუნისტურ პარტიის შექმნას. ჩვენ დავინახეთ მაგალითზე, თუ როგორ დაიწყო იტალიის ბურჟუაზიამ მახვილის ენით ლაპარაკი თავის პროლეტარიატთან. ძალაზე უნდა ძალითვე ვუპასუხოთ. მე იმ აზრისა ვარ, რომ რევოლიუციონური ელემენტები იტალიის სოციალისტური პარტიის უნიტარული ჯგუფიდან მჭიდროთ უნდა გაერთიანდენ კომუნისტებთან ერთიანი რევოლიუციონური ფრონტის შესაქმნელათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაგრამ საერთო რევოლიუციის ინტერესების მსხვერპლათ ბელადების ფასით კი არა. მიუხედავათ ამისა პარტიამ ლივორნოში გადაწყვეტილების თანახმათ არ შეასრულა თავისი ვალდებულებები.

შემდეგ ამხ. ცეტკინა ჩერდება ამსტერდამის მიერ იტალიის პროფკავშირებისათვის გამოგზავნილ 50,000 ლირაზე. უნდა აუხსნათ იტალიის მუშებს, ამბობს ის, რომ ეს ფულები გამოუგზავნილია მუშათა კლასისა და სოციალიზმის მოღალატეების მიერ, მათ მიერ, რომლებსაც ხელები დასვრილი აქვთ შეიდემანელების მიერ დახოცილ 20,000 გერმანელ მუშის სისხლში. ეს საჩუქარი გამოგზავნილ იქმნა მუშათა კლასის არა საერთაშორისო სოლიდარობის გამოსახატავათ, არამედ მუშების ნდობის დასაკარგავათ საერთაშორისო პროფესიების მიმართ. როგორც შეხვდა „ავანტი“ ამ საჩუქარს? მკვეთრი პროტესტების მაგივრათ გაზეთი სიხარულით აღსავსე; ის ხარობდა და გუნდრუკს უკმევდა მუშათა სოლიდარობას. ჩვენ უნდა ვსთქვათ,—ამბობს შემდეგ ამხ. კლარა ცეტკინა,—კმარა, შემდეგ არ წავალთ. მანამ, სანამ იტალიის პარტია არ გაიწმინდება სერატისა და მისი ტენდენციებისაგან, ის იქნება პროლეტარიატის არა საიმედო კოლონა, არამედ ბურჟუაზიის დასაყრდნობი ძალა. აშკარაა, რომ ვინც ფარავს სერატის რეფორმიზმს, ის ეხმარება ბურჟუაზიას და მიდის პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ. მე 3 კონგრესმა გარკვევით უნდა მოითხოვოს სერატის გაძევება. საქმე ეხება არა ცალკე პირებს, არამედ მთელ მიმართულებას. და საქმეც არა ცალკე პირების ნება-სურვილშია, ვინაიდან პოლიტიკის პირობებსა და მსვლელობას აქვს თავისი ლოღიკა. ტურატის მიმართულების გამორიცხვა გატარებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ და შეურყევლათ. კონგრესმა უნდა მისცეს ჩვენს იტალიელ მეგობრებს კომუნისტებს ბრძოლის რეალური მეთოდები. კონგრესმა უნდა უთხრას ამხანაგებს, ლაძარის და მაფის, რომ მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობა ავალებს მათაც, რომლებიც სისხლი სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი არიან იტალიის მუშათა კლასის, აუხსნან უკანასკნელთ ნამდვილი სიმართლე კონგრესის შესახებ და იყვნენ პატიოსანი მოსაშველენი იტალიის მუშათა კლასის ძალთა შეკრებისა და გაერთიანების დროს. მათ სერიოზულათ და გულწრფელათ უნდა გაუმარტონ იტალიის მუშათა კლასს იმ მე 3 კონგრესის მოთხოვნილებანი, რომელიც არ მოქმედობს უმნიშვნელო კაპრიზებით. მუშათა კლასის მდგომარეობის გასამაგრებლათ და მისი პარტიის გასამტკიცებლათ საჭიროა ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე დგომა პოლიტიკის ყველა კითხვებში. (ტაში).

(შემდეგი იქნება).

კაპიტალიზმის სამეფოებში

ამერიკა

პატარა სახელმწიფოთა აღდგენა

რომი. 21 აგვისტო (რადიო). ვაშინგტონში შესდგა ეკონომიური თათბირი, რომელზედაც აღნიშნული იყო, რომ ფინანსიურ-ეკონომიური აღდგენა პატარა სახელმწიფოთა, რომელნიც გამოეყვნენ უკანასკნელ წლებში, შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ სახელმწიფოთა ექსპორტი და იმპორტი იწარმოებს დაუბრკოლებლათ. მთელი ქვეყანა დაინტერესებულია ეკონომიურათ სუსტი სახელმწიფოების აღდგენაში. ამისათვის ანტანტის ყველა სახელმწიფოებმა სოლიდარულათ უნდა გამოიმუშაონ ზომები ღარიბ სახელმწიფოთა დახმარების. ეკონომიურმა თათბირმა სასურველად მიიჩნია გადასცეს ეს საკითხი, გარდინგის საშუალებით, მომავალ კონფერენციას საერთაშორისო ზავის განმტკიცების შესახებ.

ამერიკელი სუფრაჟისტკები

ვაშინგტონი, 19 აგვისტო (რადიო) ამერიკის სუფრაჟისტკების ლიგამ მიმართა პრეზიდენტს გარდინგს თხოვნით, რათა უფლება მიეცეს ლიგას გაგზავნოს თავის წარმომადგენელი განიარაღების კონფერენციაზე.

იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობა.

მოსკოვი, 11 აგვისტო. რადიკალური ამერიკული ჟურნალი „ნიუ რესპუბლიკა“ სცდილობს გაარკვიოს ვის ვისი ეშინია იმ აზარტულ თამაშში, რომელიც სწარმოებს წყნარ ოკეანეზე. აქამდის ამერიკა ვერ ჰბედავდა პირდაპირ დაეპირდაპირებინა თავისი ინტერესები იაპონიისათვის, იმიტომ რომ ეშინია განხეთქილების, რომელმაც შესაძლებელია მიიყვანოს ომამდის, ამ შიშში ჩვენ გვამყოფებს იაპონიის პროპაგანდა, ნამდვილათ კი იაპონიას არ აქვს შეძლება დაიწყოს ჩვენთან ბრძოლა. მისი ფინანსიური მდგომარეობა ამის საშუალებას არ მისცემს. ამას გარდა მას მოუხდება გაიწვიოს თავისი ჯარი ციმბირიდან, კორეიიდან და მანჯურიიდან, იაპონიის პროპაგანდას ძლიერ ეხმარება ყალბი აზრი თითქოს მას ეხმაურებოდეს ინგლისი. ინგლისს კარგათ ესმის, რომ იაპონია ისარგებლებს ინგლისის კავშირით, მხოლოდ იმისთვის, რომ გაამაგროს თავისი მდგომარეობა აღმოსავლეთში. შემდეგ ჟურნალს გამოჰყავს დასკვნა: ამერიკელებისათვის ძალიან საჭიროა კარგათ იცოდნენ, თუ როგორი ადგილი უჭირავს იაპონიას აღმოსავლეთში. ახლო მომავალში აღმოსავლეთი შეიქმნება ან ომის ან მშვიდობის ასპარეზად: იმ შემთხვევაში, თუ ომი მოხდა, კორეია იქნება იქაური ბელგია, ჩინეთი, საფრანგეთი, ციმბირი, რუსეთი და იაპონია გერმანია.

უნგრეთი

პროფკავშირების გაძლიერება.

მოსკოვი. 11 აგვისტო. (რადიო). უკანასკნელ თვეებში საგრძნობლათ გაიზარდა პროფესიონალური მოძრაობა უნგრეთში. მუშათა მასსები ორგანიზაციული ჯგუფებით შედიან პროფკავშირებში; მიუხედავათ თეთრ ტერორისა, დღეს დღეობით პროფკავშირებში ითვლება 250.000 მუშა მათ შორის 60,900 მელითონეა.

ისპანია

გრიგალი ისპანიაში

რომი. 21 აგვისტო (რადიო). ბარცელონის თავზე გადაიარა თავზარდამცემმა გრიგალმა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ნავთსადგურს,

— ტოსკანოში მოხდა საშინელი ქარიშხალი. [illegible], ამოგლეჯილია ხეები ფესვიანათ. ზიანი დიდია.

იტალია

ბრძოლა ეპიდემიასთან.

რომი. 21 აგვისტო (რადიო). პრესა უარყოფს საზღვარ გარეთული გაზეთების ცნობას იტალიაში ანტი-სანიტარული პირობების შესახებ. იტალიაში მიღებულია სასტიკი ზომები სიფრთხილისა, რუსეთიდან გადამდებ სენის შემოტანის წინააღმდეგ.

პოლონეთი

განოვერი. 21 აგვისტოს (რადიო). პოლონეთის მდგომარეობა კატასტროფიულია. პრესა მოითხოვს, პოლონეთის სეიმის დაუყოვნებლივ მოწვევას, რათა მან მიიღოს ზომები პოლონეთის სამხედრო და ფინანსიური ეკონომიური მდგომარეობის აღსადგენათ.

რუსეთ—ამერიკის შეთანხმება.

ბერლინი. 21 აგვისტო (რადიო). რიგიდან იტყობინებიან, რომ 20 აგვისტოს გვიან საღამოს მოწერილ იქმნა რუსეთ—ამერიკის შორის ოფიციალური ხელშეკრულება, რუსეთის დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

საბერძნეთი და ალბანეთი

რომი. 21 აგვისტო (რადიო). ბალინიდან იტყობინებიან, ბერძნების გამალებულ მზადების შესახებ ალბანეთის საზღვარზე, საბერძნეთის სარდლობას წინადადება აქვს მიცემული დაიკავოს ეპირი.

— ათინაში გუშინ გარდაიცვალა საბერძნეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე რალლი.

ცეცხლი სკუტარში

ჟენევა. 21 აგვისტო (რადიო). სკუტარში (აზია) გაჩნდა დიდი ცეცხლი. ცეცხლის მიერ დამწვარია სავსებით 1200 სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ოსმალოებს და სომხებს. ცეცხლის ჩასაქრობათ გაგზავნილია მოკავშირეთა რაზმები.

მარიამ ქრისტინა ნეაპოლიტანელი

რომი. 21 აგვისტო (რადიო). იტალიის პრესა იუწყება: ნეაპოლიტანელ ექს-დედოფალმა მარია ქრისტინემ მიიღო ბოლშევიზმის იდეები და გადასწყვიტა თავი შესწიროს ამ იდეების გავრცელებას.

გერდესონის სიკვდილი

განოვერი. 21 აგვისტო (რადიო). ჟენევაში გარდაიცვალა წითელი ჯვარის თავმჯდომარე გერდესონი.

მცირე აზიაში

რომი. 21, აგვისტო (რადიო) სამხედრო კორესპონდენტი იტყობინება კონსტანტინეპოლიდან, რომ ბერძნების ჯარი აგრძელებენ წინსვლას ანატოლიაში. წინსვლას კარგათ ვითარდება ჩრდილოეთის მიმართულებით.

თავდასხმა მეფე ალექსანდრეზე

რომი. 21 აგვისტო (რადიო). პარიჟიდან იტყობინებიან, რომ სერბიის მეფის ალექსანდრეს მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება. ჭრილობა რომელიც მოხდა თავდასხმის დროს საშიშო არ გამოდგა. მოწვეულია საუკეთესო ხირურგები.

ქრონიკა

◆ **საბაჟო ტარიფი.** ვნეშტორგის მიერ მიღებულია ახალი საბაჟო ტარიფი საზღვარგარეთის ურთიერთობისათვის, რომლის ძალითაც ნებადართულია თავისუფალი შემოტანა ყველა საქონლისა, გარდა ფუფუნების საგნებისა. მასიური მოთხოვნილების საგნები, ტექნიკური და სურსათი განთავისუფლებულია ყოველგვარ გადასახადისაგან, დანარჩენზე დადებულია გადასახადი ოქროს ვალიუტით. გადასახადის შემოტანა შეიძლება ოქროთი უცხო ვალიუტით და ბონებით, საგარეო ვაჭრობის და ფინანსთა კომისარიატების მიერ დაწესებული კურსით.

◆ **შეშის დამზადების საკითხი.** რევკომის სხდომამ ხელმეორედ დაადასტურა პრეზიდიუმის დადგენილება, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამეურნეო წესით შეშის დამზადებას. დადგენილების სისრულეში მოსაყვანად დაევალა მომარაგების განყოფილებას გამოიანგარიშოს საერთო ხარჯთ-აღრიცხვა შეშის დამზადებისა, დაევალოს მასვე, გამოითხოვოს მაქსიმალური რაოდენობა შეშისა, პირიქით ესე განხორციელდეს, როგორც სამეურნეო წესით ისე, კერძო მოიჯარადრეთა საშუალებით. ამასთანავე შეშის დამზადების საჭიროებისათვის უნდა შეიქმნას შეშის ფონდი და ამ მიზნით გადაირიცხოს ყოველთვიურად ქალაქის რევკომის საერთო ბიუჯეტიდან სამ-სამი მილიონი და, გამოთხოვილ იქმნეს სპეციალური კრედიტი შეშის დამზადების ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ.

◆ **ტრამვაის მდგომარეობა.** კომუნ. სამეურნეო ნაწილის კოლეგიის სხდომაზე გაირჩა საკითხი ტრამვაის მდგომარეობის შესახებ. კოლეგია შეეხო საკითხებს ტრამვაის რემონტისას, რომელიც გამოიხატება ლიანდაგის შეკეთებაში, ქუჩების მოკირწყვლაში და საერთოდ კაპიტალურ რემონტში. ტრამვაის დროებით შეჩერების გამო უმუშევართა შესახებ, მუშებისთვის პრემიალური სახით 10,000 მან. დღეში მიცემისათვის და სხვა. კოლეგიამ დაადგინა ტრამვაის რემონტის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნას იმ შენიშვნით, რომ პახნოვის ქუჩა არ იქნას მოკირწყლული რიყის ქვით. ეთხოვოს საქართველოს რევკომს, რათა მიაწოდოს საჭირო მაზუთი და ნავთი, და სახალხო შრომის კომისარიატს უმუშევრად დარჩენილი მუშები ჩაირიცხულ იქნას მათ განკარგულებაში, მხოლოდ იმავე მუშების რიცხვიდან უკანვე გამოიგზავნონ ტრამვაის ხაზის და ვაგონების აღდგენისათვის საჭირო რიცხვი მუშებისა. მუშების საჭიროებისათვის გამოშვებულ იქნას დილით და საღამოთი ექვსი ვაგონი.

◆ **საავადმყოფოების მდგომარეობა.** ქალაქის რევკომმა მოისმინა ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოხსენება, რომ საავადმყოფოებში ავადმყოფებს თითქმის ყოველთვის ლობიოთი კვებავენ, რაც სპეციფიურ ავადმყოფებისთვის ყოვლად დაუშვებელია—და დაადგინა: ეთხოვოს სასურსათო კომისარიატს ლობიოს ნაცვლად [illegible].

საქართველოს საბჭოთა სოციალისტ. რესპუბლიკის სასურსათო ყრილობა

(გაგრძელება იხ. „კომ." № 142)

30 ივლისის დილის სხდომა.

სხდომა იხსნება 10 საათ. და 40 წუთზე.

მიღებულ იქმნა ამხ. ერქომაიშვილის წინადადება—მოსკოვის სახსასკომისათვის მისალმების დეპეშის გაგზავნას შესახებ.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა 1) მოხსენება ამხ. მელჩარხკისა—საორგანიზაციო საკითხების შესახებ. ყრილობამ დაადგინა, მის მოხსენებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების სექციებში გადაიტანოს განსახილველად.

2. ამხ. ზაიდშნური აკეთებს საინფორმაციო მოხსენებას სრულიად რუსეთის სახ. ყრილობის შესახებ, ის ესალმება საქართველოს სასურსათო ყრილობას. შემდეგ ეხება რა რუსეთის ყრილობას, ამბობს, რომ მისი ძირითადი საკითხი იყო—სასურსათო გადასახადი და მასთან დაკავშირებულ კოოპერაციის საკითხი. სასურსათო გადასახადი, რომელიც გაწერის წესის მაგიერ არის შემოღებული, ერთი მხრივ გლეხს საშუალებას აძლევს გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და მეორე მხრივ, მუშათა კოოპერატივები აწარმოებენ რა საქონლის გაცვლა გამოცვლას სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, შეაგროვებენ სურსათ-სანოვაგის პროდუქტების რაოდენობას, რაც აძლევს შრომის ნაყოფიერებას. სასურსათო გადასახადი, ამბობს ამხ. ზაიდშნური ჰქმნის მუშათა კლასისა და გლეხების შორის ისეთ ურთი-ერთობას, რომელიც ორივეს აინტერესებს სოფლის მეურნეობისა და წარმოების განვითარებაში დააფუძნებს მჭიდრო ეკონომიურ კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის.

ეხება რა კოოპერაციას და ადგილობრივ სასურს. ორგანიზაციების შორის ურთიერთობის საკითხს—იგი ამბობს, რომ საომარი დროის პირობებში კოოპერაციის წარმატებით განვითარების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, რადგანაც საჭიროა იყო ამა თუ იმ რევოლიუციონურ ღონისძიების განხორციელება მინიმალურ ვადაში—მაქსიმალური შედეგებით, ეს კი კოოპერაციას არ შეეძლო. ეხლა კოოპერაცია ახალ ფორმებსა ჰღებულობს, კოოპერაციის ხელში გადასული სახელმწიფოებრივი მომარაგება, სახელმწიფოს საქონლის გაცვლა გამოცვლა და დამატებითი კოოპერატიული მომარაგება უეჭოდ გაუმჯობესდება თვით კოოპერაციის აპარატიც. რაკი მას დაეკისრა რამდენიმე სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება, მასვე ამიტომ ეძლევა ზოგიერთ სახელმწიფოებრივი უფლებებიც, შეღავათიან გადასახდვის უფლებები.

მომხსენებელი აღნიშნავს კოლექტიურ მომარაგებისა და შრომის ხელფასის კოლექტიურად გეგმის დიდ მნიშვნელობას. აქ თვითეული პირი დაინტერესებულია, პირველად ყოვლისა—მუშაობის ნაყოფიერებაში და მეორე იმაში, რომ ამ დაწესებულებაში არ იყვნენ ზედმეტი მჭამელები, ამასთანავე მომუშავების რიცხვი (განსაკუთრებით საბჭოთა დაწესებულებებში (50 პროცენტით შემცირდა, მუშაობის ნაყოფიერება კი გაიზარდა.

ამხ. პავლოვის მოხსენება. სტატისტიკურ საკითხების შესახებ, ის აღნიშნავს სტატისტიკის დიდ მნიშვნელობას აღრიცხვისა და განაწილების საქმეში, დეტალების შესახებ ლაპარაკი კი იქნება სექციაში.

მიღებულ იქმნა წინადადება 3 სექციით დაყოფის შესახებ (სამაზრო სასურს. კომისრების, რწმუნებულების და სტატისტიკების სექციები) და მოხსენების დეტალური განხილვის სექციების სხდომებში განხილვის შესახებ, რის შემდეგ კვლავ შეიკრიბება პლენუმი.

სხდომა იხურება 1 საათ. და 30 წუთზე.

პირველ აგვისტოს სხდომა.

სხდომა გაიხსნა საღ. 7 ს. და 20 წუთზე.

წაკითხულ იქნა სამ. სასურკომისრების სექციის დადგენილებები.

წაკითხულ იქმნა რწმუნებულების სექციის სხდომების ოქმი.

სტატისტიკურ სექციის სხდომების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პავლოვი. სხდომებზე სექციამ რამოდენიმე სანიმუშო სამუშაო შეასრულა, ბოლოს ამხ. პავლოვი აქვეყნებს სტატისტიკურ ცნობებს ყრილობის შემადგენლობის შესახებ.

ამხ. ერქომაიშვილი კითხულობს რ. ს. ფ. ს. რ. სახსასურკომისათვის გასაგზავნ დეპეშის ტექსტს—იგი მიღებულ იქნა.

ამხ. ერქომაიშვილი კითხულობს გადასახადის გამოანგარიშებისა და მოკრების წესებს. ის უხსნის ყრილობას, როგორ უნდა მოიქცნენ პრაქტიკაში პურის ერთ კულტურის მეორეთი შეცვლის დროს, და აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ მეურნეობაში რომელიც უნდა დაიბეგროს, არის მხოლოდ ერთი დესეტინა და მისი ნახევარი დათესილია პურით, ნახევარი კი სიმინდით. ამ შემთხვევაში—ამბობს ამხანაგი ერქომაიშვილი—გადასახადი ისე იქნეს მოკრებილი თითქოს მთელ დესეტინაზე დათესილი იყოს მხოლოდ ერთი კულტურა, უმთავრესათ კი პური.

ამ წესებს ყრილობა ღებულობს.

წაკითხულ იქმნა თეზისები სამაზრო რევკომებისა და სასურსათო ორგანოების ურთიერთობის შესახებ.

რევკომებისა და სასურსათო ორგანიზაციების ურთიერთობის შესახებ

ამხ მელჩარხკის მოხსენება

(თეზისები)

1. სასურკომები, არიან რა ერთი მხრივ შესაფერისი უწყების (სახსასურკომის) განყოფილებები და შედიან რა მეორე მხრივ ადგილობრივ ძალა უფლების საერთო სისტემაში—დაკავშირებულნი არიან დაქვემდებარების წესით ვერტიკალურისა და ჰორიზონტალი ხაზებით.

2. ვერტიკალი ხაზით სასურკომები ექვემდებარებიან სახსასურკომს; ატარებენ რა ადგილობრივ ცხოვრებაში მის პოლიტიკას და ანხორციელებენ რა მთელ უწყებაზე დაკისრებულ ფუნქციებს, სასურკომები ანხორციელებენ სახსასურკომის დადგენილებებს, სისწორით ექვემდებარებიან მის დებულებებს, წესებს, ინსტრუქციებს, ცირკულიარებს და კერძო ადმინისტრატიულ ტეხნიკურ და სხვ. განკარგულებებს.

3. ჰორიზონტალ ხაზით სასურკომები დაკავშირებულნი არიან რევკომებთან როგორც ადგილობრივ მთელი ძალა უფლების სავსებით წარმომადგენელ ორგანოებთან; უკანასკნელებს სასურკომების მოხმედების ხაზის—ადგილობრივ ძალა უფლების პოლიტიკის საერთო მიმართულების მიხედვით გამოსასწორებლად, უფლება აქვთ გზიდან გადახრის დროს, მისცენ სასურკომებს შესაფერისი წინადადება ან: რევკომებს შეუძლიანთ მოსთხოვონ სასურკომებს ცნობები მათ მუშაობის მსვლელობისა და სასურკომების განზრახვების შესახებ.

4. რევკომების მითითებათა და წინადადებების ყველა შემთხვევების შესახებ სასურკომები აცნობებენ სახსასურკომს, აღნიშნავენ, თუ რა გააკეთეს მათ ამის შესახებ და თან დაართავენ თავის დასკვნასაც. რევკომები კი დაუყონებლივ აცნობებენ სახ. შინაგან საქმეთა კომისარიატს ყველა უთანხმოების შესახებ სასურკომებთან.

5. სახსასურკომის რწმუნებულები არ შედიან ძალა უფლების ადგილობრივ ორგანოების სისტემაში; ისინი არიან სახსასურკომის სასტიკათ შეკავშირებულ აგენტურის ნაწილები; ისინი ექვემდებარებიან მხოლოდ სახსასურკომს, და ყოველთვის, რაც კი რევკომების რწმუნებულთა მოღვაწეობაში მიაჩნიათ არასწორათ, ისინი ამის შესახებ ატყობინებენ ან პირდაპირ კონტაქტისა და შეთანხმების დასამყარებლად, რწმუნებულები თავის ინიციატივით აძლევენ რევკომებს საინფორმაციო ცნობებს მათი მოღვაწეობის რაიონებიდან სასურსათო მდგომარეობის შესახებ.

ეს თეზისები ზოგიერთი შესწორებების შეტანის შემდეგ მიღებულ იქნა.

◆ **მოსავალი სენაკის მაზრაში.** სენაკის მაზრაში მოსავლის პირი ძალიან ცუდია. განზრახულია პურის დათესვა შემოდგომაზე. სამაზრო რევკომი შუამდგომლობს საქ. რევკომის წინაშე, სესხის სახით გადებულ იქნას სენაკის მაზრისათვის სათესლედ 10.000 ფუთი ხორბალი.

◆ **შტატების შემცირების შესახებ.** შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო დებულება შტატების შემცირების შესახებ: ა) დაწესებულებებში შტატების შესამცირებლად შრომის სახ. კომისარიატთან დაარსდეს ცენტრალური ანუ მთავარი კომისია დაწესებულება—წარმოებებში შტატების გამორკვევა შესწავლისა, მათი შემცირების დროს ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის. ბ) მთავარ კომისიას შეადგენენ: შრომის სახალხო კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელნი. გ) პროვინციაში შრომის განყოფილებებთან დაარსდეს ადგილობრივი კომისიები, სადაც შევლენ: განყოფილების ინსპექციის და საპროფესიო კავშირთა ადგილობრივი საბჭოს წარმომადგენელნი, დ) ინსტრუქციის შემუშავებისთანავე წარმოება დაწესებულების ადგილობრივ კომიტეტს ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად ევალებათ მოამზადონ მასალები შტატების შემცირების საკითხისათვის.

— **ღვინის დამზადება.** ცნობების გამო ვენახის მამულებში მუკუზანსა და წინანდალში შეუდგნენ ყურძნის მოკრებას 1.5 სექტემბრისათვის ღვინის დასამზადებლად ე. ი. ორი კვირით ადრე ჩვეულებრივი დროისა.

— **სახალხო-სამეურნეო ჟურნალი.** სახალ. სამიწათ მოქმედო კომისარიატის საგამომცემლო ქვედა განყოფილების მიერ [illegible] მე 3 № [illegible] სახალხო-სამეურნეო ჟურნალისა „სოფლის მეურნე". ჟურნალის შინაარსი: მოწინავე სტატია აგრონ. ანდრონიკაშვილისა, სტატიები აგრ. ს. ნ. ტიმოფეევისა, „რა უნდა ვქნათ სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად", ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლის მასწავლებელ მდივნისა, „ჰოლანდიელთა მოშენება, ამხ. ვორონიხინისა. „შენიშვნები სიმინდის ავათმყოფობაზე", ქრონიკა და ოფიციალური განყოფილება.

◆ **ახალი კოლეგია.** თანახმად ქალრევკომის დადგენილებისა დაარსდა შინაგან მმართველობის კოლეგია, რომელშიაც დანიშნულ იქმნა ამხ. ჩხეიძე და აბულედიანი.

◆ **წარმოდგენა დამშეულთა სასარგებლოდ.** თბილისის მუშათა-გლეხთა მილიციის კლუბში (პლეხანოვის პრ., 129). ხუთშაბათს, 26 აგვისტოს ქართველ მსახიობთა მიერ შაქრო საფაროვის მეთაურობით, რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი" 4 მოქ. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

◆ **საღამო ქართულ კლუბში.** ხუთშაბათს 25 აგვისტოს ცალკე სანაპირო ბრიგადის ოლგის მხარის დამშეულთა დამხმარე კომისია მართავს წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში (ყოფილი ქართული კლუბი, სასახლის ქუჩ. № 6). გრანდიოზულ საღამო-წარმოდგენას სეირნობით.

ახალი სამგზავრო და საბარგო ტარიფი

ახალი სამგზავრო და საბარგო ტარიფი შემოღებული ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების რკინის გზებზე 21 აგვისტოდან 1921 წ.

თბილისის სადგურიდან ბათომამდე	ვერსი	მგზავრის ფასი	10 გირ. ბარგისა-თვის
ავჭალა	10	3,000	116
მცხეთა	20	6,000	230
კასპი	45	13,600	518
გორი	71	21,400	818
ხაშური	112	33,600	1288
ბორჯ. პარ.	142	42,600	1,634
ბაკურიანი	184	52,800	2,116
ყვირილა	171	50,200	1,968
შიათურა	206	57,200	2,370
ქუთაისი	208	57,600	2,392
ტყვიბული	248	65,900	2,852
სამტრედია	230	62 000	2,642
ფოთი	290	74,000	3,366
ახ.-სენაკი	264	68,800	3,036
ბათომი	327	86,000	3,750
ქობულეთი	301	81,000	3,450
კახეთის სადგურამდე			
გურჯაანი	115	34,600	1,324
წინორ. წყ.	135	40,600	1,554
თელავი	147	44,200	1,692
თბილისიდან ბაქო-როსტოვ.			
ნავთლუღი	8	2,400	82
ყარაიაზი	37	11,200	426
სალოღლი	75	22,606	864
აკსტაფა	88	26,400	1,012
ელისავეტპ.	176	51,200	2,024
ევლახი	240	64,000	2,760
უჯარი	281	72,200	3,232
აჯიკაბული	376	96,000	4,250
ბაქო	515	116,000	5 850
ხაჩმასი	621	132,000	7,050
დერბენტი	711	144,000	7,950
პეტროვსკი	851	160,000	9,150
გროზნოვი	991	176,000	10,350
მინ. წყლები	1,231	200,000	12,150
კავკაზი	1,407	216,000	13,350
როსტოვი	1,736	248,000	15,750
თბილისი-ალექსანდროპოლი ერევანი ჯულფა			
სანაინი	103	31,000	1,310
ალექ. პოლი	206	57,200	2,470
ერევანი	351	91,000	4,050
ნახჩევანი	451	108,000	5,250
ჯულფა	515	116,000	5,850

შენიშვნა: ბავშვები 5 წლამდე გადაჰყავთ უფასოთ 6 დან 10 წლამდე იხდიან ერთი მეოთხედს მოზრდილთა ბილეთის ფასისას.

2) ბარგის ფასის გადახდის დროს მანეთების ჯამი 100 რგვალდება 100 მანეთად.

3) ბარგის შენახვისათვის იხდიან დღე და ღამეში 120 მ. თუ ბარგი, რომელიც მგზავრს თან მიაქვს, აღემატება სიმძიმით ერთს ფუთს, ზედმეტისათვის იხდის ორმაგათ. უბილეთო მგზავრი, აღმოჩენილი შორს მიმავალ მატარებელში იხდის ზედმეტს 45000 მან. ხოლო ადგილობრივ მატარებლებში უბილეთოთ აღმოჩენილი 22,500 მანეთს.

რკინისგზებზე

(დასავლეთის ხაზი)

რკინისგზის დასავლეთის ხაზის მდგომარეობა დღესდღეობით შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, გარდა ზუგდიდის შტოსი, სადაც ხაზის მდგომარეობა ფრიად მძიმეა. მატარებლების სიჩქარე ბათუმ თბილისამდე ნორმალურია ე. ი. საათში 45 ვერსი, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში რომ დარჩეს რკინისგზა, საჭიროა სასწრაფოთ შპალების გამოცვლა. საერთოდ გამოსაცვლელია 262,453 ცალი, განზრახულია 130,775 ცალის გამოცვლა. ნამდვილად არის 6550 ცალი, დანაკლის შპალების დასამზადებლად საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები. მეორე შემაფერხებელი მიზეზი გზების არის მუშა ხელის ნაკლებობა. რკინისგზის მრავალი ადგილები სრულებით გაშიშვლებულია, ვერ ხერხდება ხიდების შეკეთება მუშა-ძალების პირადი შემადგენლობა თანდათან კლებულობს. ამის მიზეზია ჯამაგირის სიმცირე სიძვირესთან შედარებით და მათი სურსათის მხრით ნაკლები უზრუნველყოფა მუშა ხელის ნაკლებობა ჩნდება აგრეთვე დანგრეულ ხიდების კაპიტალურ შეკეთებაში. ორ ხიდზე მუშაობს რემონტის მატარებელი № 7, რომლის შემადგენლობა უნდა იყოს 200 კაცი ნამდვილად კი მუშაობს 25 ხელოსანი (დურგალი) და 8 მელითონე. ყველა კაპიტალური სამუშაო ხიდებზე შესრულებულია, მხოლოდ იმ მუშებით, რომლებიც გაგზავნილ იყვნენ მთავარ სახელოსნოებიდან. საჭიროა რკინისგზის ლიანდაგის შეკეთება; საჭიროა ზომების მიღება მტკვრის და რიონის ნაპირების გასამაგრებლად აგრეთვე ზღვის ნაპირებისაც ბათუმის ახლოს. დიდი საფრთხე მოელის გზას ხაშურ-ზესტაფონის უღელტეხილის რაიონში ნიაღვარის წყლებიდან, რომელიც დღეს დღეობით 2000 კუბ. საჟენს აღწევს და რომლისგან მრავალი ხიდი და ლიანდაგი დატვირთული. ხსენებულ ხიდების და ლიანდაგის გასაწმენდად საჭიროა მუშა ხელის თვალსაჩინო ძალა არა ნაკლებ 1000 კაცისა.

ტრანსპორტის საკითხი დაკავშირებულია დღესდღეობით უმთავრესად მუშა ხელის გამოყენებაში. ამისთვის საჭიროა სურსათი და თავის დროზე შრომის ხელფასის გადახდა. ფულის მისაღებად არტელის „სტაროსტები" იძულებული არიან რამოდენიმე დღე დაყონ რკინისგზის სამმართველოს კარებთ ნ.

კახეთის ხაზი.

კახეთის რკინისგზა დღეს სულ მთლად მიტოვებულია. მიწის ყრილები, შპალები და ხაზის სიმაგრეები განსაცდელს უმზადებს მატარებლის მიმოსვლას. ის შპალები, რომლებიც ალაზნის წყლის მიდამოშია დაწყობილი ყველა დამპალია და ვერ გამოდგება ლიანდაგისათვის. გზის შესაკეთებლად საჭიროა 200 300 მუშა.

ცისტერნების მდგომარეობა.

ცისტერნები, რომლებიც გამოდგება ნავთის გადასაზიდად დგას სხვა და სხვა სადგურებზე 1022 ცალი. საერთო რიცხვი შესაკეთებელ ცისტერნებთან ერთად უდრის 1504 ცალს. რესპუბლიკის გზების სათბობ მასალით უზრუნველსაყოფად საჭიროა 680 ცისტერნა. ნავთის გადასაზიდათ საჭიროა 108 ცისტერნა. და ნარჩენ მასალის გადასაზიდად (ზეთი, ბენზინი და მაზუთი) საჭიროა 30 ცალი. ამრიგად საჭიროა 818 ცისტერნა. ნამდვილად არის 1022, ასე რომ რეზერვში რჩება 204. ეს ცისტერნები შეიძლება გაიგზავნოს ნავთის საექსპორტოთ ბათუმში.

მკითხველის წერილები

ამაო მოლოდინი.

შიშილი, ცხოვრების პირობების გამწვავება, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი—ყოველივე ეს დღეს მძვინვარებს, ფრთებს შლის როგორც დიდ რუსეთში, ისე საბჭოთა საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში. ამ ნიადაგზე ჩვენი ორგულნი, სხვა და სხვა სახით მოვლენილი ჩვენი კლასობრივი მტრები—მენშევიკები და ძმანი მათნი ფიქრობენ გამოიყენონ ეს ჩვენს წინააღმდეგ; როგორც ჩანს მათ მიზნად დაუსახავთ ეს უკმაყოფილო, საერთოდ მოვლენილ პირობებით გამწარებული ხალხი მომართონ, ამხედრონ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ეს კონტრრევოლიუციონერთა ბრბო, მშრომელი ხალხის მტრების პარტია როგორც საზღვარ-გარედ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისე აქაც—შინ, ადგილობრივად შეუდგენ „საქმიან მუშაობას" საბჭოთა მთავრობის დასამხობად და თავიანთი ბურჟუაზიული კლასის ბატონობის აღსადგენად. აქ ამ ვაჟბატონებს ყველაზე მეტად ის აძლევს იმედს, რომ სტიქიურ უბედურება წვეული, დამშეული რუსეთი დასუსტებულია ეკონომიურად, დაუძლურებულია პოლიტიკურად; ამასთან ერთად მისი სამხედრო ფრონტის მოკავშირე ოსმალეთი—ქემალ-ფაშის სახით უკან იხევს, აქა თუ იქ მარცხდება, მტრები დროებით წინ მოიწევენ და სხვა.

აი, ასეთ მდგომარეობიდან გამოსულთ მათ მოთმინება ეკარგებათ, მათ ძლიერი სურვილი ებადებათ, დიდი მადა ეღძვრებათ რაც შეიძლება მალე, მალე მოხდეს აღსასრული ჩვენი და აი ამ მადა-სურვილით გამოწვეულს და შექმნილს ჩვენ ვისმენთ სოფლად და აქ ქალაქად გავრცელებულ შემდეგ ხმებს:—ლენინი გადადგა, ლენინი პარტიიდან გადააყენეს ზინოვიევ-ბუხარინ ტროცკიმ, რადგან დამფუძნებელ კრების მოწვევა მოითხოვა. რუმინია-პოლშა-გერმანია, ანტანტით ზურგ-გამაგრებული, უტევს რუსეთს და დღეს არა ხვალ საბჭოთა რესპუბლიკები აღარ იარსებებს. რუსეთის მრავალ სოფელსა და ქალაქებში მუშათა და გლეხთა აჯანყებებია, რაც შეუცილებელ წაღეკავს უქადის ბოლშევიკურ ქვეყნებს და სხვა.

აი ასეთი, თავიანთივე პირით გავრცელებულ უსაფუძვლო ხმებით გათამამებული ჩვენი მტრები აშკარად ჯგუფდებიან პლეხანოვ რუსთაველის პროსპექტზე, და აშკარად ბაასობენ, აშკარად ეუბნებიან გამვლელ გამომვლელთ შემდეგ სიტყვებს:—„აა მიდიან ხომ ბოლშევიკები! დღეს არა ხვალ მათ ლანდს აქ ვეღარ ნახავთ.. საქმე ძალიან ცუდათ ჰქონიათ, მეცადება კიდეც, სასტიკი პირობები დაუდგათ, მწარე ბედი აწვიათ... მოდიან, მოდიან ძმავ ბერძნები, ინგლის საფრანგეთის ჯარი. მას უკან თურმე ჩვენი მთავრობა მოჰყვება ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, და სხვა.

ამ მოცლილ ვაჟბატონების ლაყბობაზე ჩვენ არაფერს არ ვიტყოდით, რომ ასეთ ხმებს და ინსინუაციებს ჩვენი სუსტი ამხანაგები, ჩვენი გულუბრყვილო თანამგრძნობები, არ დაეჭვებიათ, არ დაეშინებიათ. ამიტომ ჩვენ ამ წერილით როგორც პირველათ ისე უკანასკნელათ ვეტყვით მოკლედ: პირველათ,—დეე შეიქციეთ თქვენი უსაქმური თავი ამაო ლაყბობით.

უკანასკნელათ,—საბჭოთა რესპუბლიკების მშობელმა მუშებმა და გლეხებმა დარაზმულ—შეკავშირებულებმა, ხანგრძლივი, გამუდმებული ბრძოლით გარკინებულ—გაფოლადებულებმა იციან მათი ღირსება-ფასი და ვერავითარი ძალა მას ამ ბატონობას კლასობრივ მტრებზე ხელიდან ვერ გამოგლეჯს. და ისე ჩაივლის მტრების ყოველივე ცდა, როგორც აქნობამდის მათთვის სამარცხვინოდ ჩაუვლია. მიუხედავად საბჭოთა რესპუბლიკების საშინელი ეკონომიური კრიზისისა, იგი ისეთ ურყევ საფუძველზე არის დამყარებული, რომ არა თუ მას მტრების ცერიშება ანგრევს, ვერც კი შეარყევს; და თქვენ შეგიძლიათ მომავლის სრული იმედით იყოთ; დამშვიდებით განაგრძოთ დაწყებული მუშაობა ახალი სახელმწიფოს შენების.

ხუგასტი

პარტიული ცხოვრება

აბაშის რაიონი.

მენშევიკების ბატონობის დროს აბაშის რაიონი წარმოადგენდა მათი ჯალათების ბუდეს. ვის არ ახსოვს სენაკის მაზრის მილიციის უფროსი პეტრე ჩოჩია, რომელმაც ციხეში ჩაალპო აბაშელი კომუნისტები და აბაშის რაიონის მილიციის უფროსი გ. ნ. ნოე გვაზავა. ეს დიქტატორი აბაშის რაიონისა ემუქრებოდა კომუნისტებს დახვრეტით, დახრჩობით,. მან თავისი ინიციატივით, მაისში, ჩვენი პარტიის ლეგალობის დროს, დაანგრია აბაშის რაიონში, კომუნისტური ბიუროები, ზოგი ამხანაგები ცემა და ზოგი ციხეში გაამგზავრა. გაგეგონებათ კიდევ ცნობილი სილიბისტრო მაღნარაძე, ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი, ეს წმინდა წყლის ჯალათი კომუნისტებისა, რომელსაც კომუნისტების სისხლით ეხლაც აქვს დასვრილი ხელები და მგონი კონსტანტინოპოლის რესტორანებში დასეირნობს კიდია და ფაჩულიასთან ერთად. ცნობილ ყველა აბაშელებია და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი სხვაა მაგისთანეი. პირველად 1918 წ. აბაშელი მენშევიკების ბინძურმა ხელებმა დაატუსაღა (აქ აბაშაში) ჩვენი საუკეთესო მებრძოლი ამხ. ბუდუ მდივანი.

მიუხედავათ ამისა აბაშის რაიონში კომუნისტებს დიდი მუშაობა ჰქონდათ, ოდნავათაც არ შერყეულან რევოლიუციონურ ბრძოლაში და ასრულებდნენ თავის პარტიულ დავალებებს ისე, როგორც უკარნახებდა მათ რევოლიუციონური მოვალეობანი.

ეხლაც საბჭოთა ხელისუფლების დროს შედარებით სხვა რაიონებთან აბაშის რაიონში პარტიული მუშაობა ჩინებულად მიმდინარეობს. არის ხოლმე ხანდახან ცოტაოდი მიდუნება პარტიულ მუშაობისა, მაგრამ ეს მიეწერება იმას, რომ ამხანაგები გაბმული არიან სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულების მუშაობაში.

ახლახან ჩამოვიდა მაზრიდან სამაზრო პარტკომის წევრი ამხ. ილია პანტურია გამართა რაიონში პარტიული კრებები და მასიური მიტინგები. მოხსენება გააკეთა შეძლებულ კლასების 50 მილიარდ მანეთით დაბეგვრის შესახებ. ხალხი ყველგან აღფრთოვანებით შეხვდა, რაც გამოიხატება გამოტანილ რეზოლიუციებში.

აბაშის რაიონში ითვლება 300 ზე მეტი შეიარაღებული კომუნისტი, რომელნიც მზათ არიან თავი შესწირონ სოციალისტურ რევოლიუციას. პროვოკაციის წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული. იმართება შაბათობა თითქმის ყველა თემებში, თქვენ არ დაინახავთ არც ერთ თემს, სადაც ქვრივ-ობლების ყანა შაბათობით არ იყოს გათოხნილი.

ასე რომ აბაშის რაიონში პარტიული მუშაობა თანდათან ცხოველდება ძველებურად და კომუნისტები ყოველთვის მზად არიან მთელი თავის ძალ ღონე შესწირონ საბჭოთა მთავრობის განმტკიცებას საქართველოში.

ვახაპ.

პროვინციაში.

წალკის რაიონი.

წალკის რაიონი შესდგება ორმოც და ექვსი სოფლისაგან: მათ შორის 26 სოფელი ბერძნებითაა დასახლებული, 13 სომხებით, 4 თათრებით, 1 ქართველებით, 1 დუხაბორებით და 1 გერმანელებით. გერმანელები და თათრები თათრულ ენაზე ლაპარაკობენ და ბევრმა ბერძენმა თავისი სამშობლო ენა არც კი იცის. ხსენებულ რაიონს თრიალეთისა და ქართლის მთები არტყია გარშემო. პირველი შესდგება თიხიანი ქვისაგან, რომელშიც ხშირად შეგხვდებათ რკინა ნარევი ქვები. ამ გარემოებას ჯერ კიდევ 1827 წ. მიაქცია რუსეთის მთავრობამ ყურადღება, გაგზავნა სპეციალურად მომზადებული პირნი წალკის მიდამოს შესასწავლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რკინა ნაკლებ პროცენტს შეადგენს თრიალეთის მთებში და ამიტომ ყურადღება არ მიაქცია მას. ქართლის მთებისკენ ხშირად შეგხვდებათ გნეისი ქვარცის ძარღვებით, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. მთელი მიდამოები მწვანე მობიბინე ბალახით არის დაფარული, რომელიც მარტო წალკის რაიონის საქონელს კი არ ასაზრდოებს, არამედ მეზობელ რაიონებსაც გაუძლებს. მიწა კუნაპეტსავით შავია და ნოყიერი, მაგრამ ხშირი წვიმებისაგან პურს და ქერს მათრობელა ერევა და ეს უტეხს მშრომელ გლეხებს გულსა. როცა გვალვიანი ზაფხული ეწვევა წალკელს, მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგან მოსავალი კარგი მოსდის მას და მათრობელაც არ ერევა პურსა და ქერს. წლევანდელი წელიწადი ჯერ ჯერობით ხელის შემწყობია წალკელისათვის, მაგრამ ვინ კიდევ ვინ იცის? თუ ორი სამი კვირის განმავლობაში წვიმები არ წამოვიდა, მაშინ მოესწრობს ჰარიხულის მოკრეფას გლეხი და თავისუფლათ ამოისუნთქავს. ამ უკანასკნელი ორი სამი წლის განმავლობაში წალკის ბერძნებ შორის, როგორც კავკასიის სხვა ბერძნებშიც, სამშობლოსაკენ ლტოლვამ გაიღვიძა და ადგილობრივ მეურნეობაზედ გლეხობამ გული აიყარა, სწორეთ ეს არის მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენის, რომ წლეულს წალკის რაიონის ბერძენთა ათ სოფელს სრულიად არ მოუთესიათ ყანა მინდვრები და ღვთის ანაბარად დარჩენილან. იმ იმედით, რომ გაზაფხულზე უკვე გადასახლდებოდენ საბერძნეთში, თითქმის ათი ათასი სული უპურმა-პუროდ არის დარჩენილი და ამ ჟამად გლეხები უფრო ღონიერ ნაწილისაგან მოელიან ხსნას და ეს უკანასკნელი კი გმინავს და იწუხს, რომ მეზობელი დამშეული ჰყავს.

წალკის რაიონს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საქართველოსთვის. რადგან, როგორც ახალციხ-ახალქალაქის მოსაზღვრე გახსნილი ადგილი, იგი ლეკებისა და სპარსელ ოსმალელთათვის საუკეთესო გზას წარმოადგენდა საქართველოში შემოსასვლელად. ჯერ კიდევ 1816 წელს ღენერალი რტიშჩევი სწერდა რუსეთის იმპერატორს „ძველი ციხის წალკის ნანგრევებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს დასაფარავათ. ციხის მიდამოები მდინარე ქციის ნაპირებით და გახსნილი მინდვრებით ერთ დროს მრავალი სოფლებით ყოფილა დასახლებული, რის მოწმე დღევანდლამდის დარჩენილი სოფლებისა და ეკლესიების ნანგრევებია. ამ მხარის უმდიდრესი სასოფლო მეურნეობა და მეჯოგეობა ცხოვრების უმთავრეს სახსარს წარმოადგენდა ტფილისის და ქართლის ნაწილისათვის, სანამ ოსმალეთის გაზვიადებულმა ძალებმა არ წალეკეს წალკის მიდამოები. შემდეგში საქართველომ თავი დააღწია ოსმალეთის უღელს, მაგრამ წალკის მხარე მაინც ვერ წამოდგა ფეხზედ და აგერ ას-ორმოცი წელიწადია იგი გავერანებულია, მიუხედავათ ამისა, რომ აქაური ადგილები ჰავით მეტად ჯან-საღია და თვით ნიადაგი უმდიდრესი."

აი ესეთი ადგილები, დასახლებული ორმოც და ათიათასი ხელი მოსახლით, სრულიად მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას. საბჭოთა ხელისუფლება წალკის რაიონს გამოეცხადება თებერვლის 18-ს და მას შემდეგ თავის ანაბარად ყოფილა იგი დატოვებული. ბორჩალოს მაზრის რევკომს ყურადღება არ მიუქცევია რაიონისთვის და საბჭოთა ორგანოები თავისებურად ჩამოყალიბებულა წალკის რაიონში. მაგალითად, სოფ. ბარმაქსიზში იყო სარაიონო რევკომი, მაგრამ იმავე სოფელში იყო სათემო რევკომიც და სოფლის კომისარიც. ამას რომ დაუმატოთ ორი მილიციის ყოფნა-ჩვეულებრივი და მეჯოგეობისათვის წალკის დაშორება ცენტრისაგან და საქართველოს რევკომის დეკრეტებისა და ბრძანება-განკარგულებების უქონლობა, ადვილი წარმოსადგენია, რა არევ დარევა უნდა ყოფილიყო იქ გამეფებული. სარაიონო რევკომში სამი კაცი ითვლებოდა თუმცა ფაქტიურად მარტო მდივანი განაგებდა საქმეებს. რევკომმა არა იცოდა-რა სამოქალაქო აქტების ჩაწერის, კომუნალური და სოციალურ უზრუნველ ყოფის განყოფილების შესახებ. წალკის რაიონის შემოერთების გამო ტფილისის მაზრის რევკომმა, თავმჯდომარე ი. მგელაძის ხელმძღვანელობით გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელმაც მოახდინა რევკომის რეორგანიზაცია: თავმჯდომარეთ დატოვებულ იქნა დროებით ძველი თავმჯდომარე ამხ. მაცვაკატოვი, კომუნალური განყოფილება ჩაბარდა ამხ. ამფიამიდის, მდივნად დაინიშნა ფ. სარიევი. მიწის განყოფილების გამგეთ კირიაკ ანანიკოვი, სოციალურ უზრუნველ ყოფის ნაზარეტიანი, სახალხო განათლების განყოფილების გამგეთ აპოსკოლოვი, (ზაქსი) მოქალაქეობრივ მდგომარეობის ჩამწერად დაინიშნა ამხ. ფ. ტამბოულოვი.

იმავე დროს გაუქმებული იქნა სოფ. ბარმაქსიზში და მრავალ სხვა სოფლებში თვრამეტი სათემო რევკომი და დატოვებულ იქნა მხოლოდ რაიონის განაპირა სოფელ საგრალოში; მოწვეულ იქნა კომუნისტური პარტიის სხდომა, რომელზედაც ამხ. მგელაძემ ვრცელი მოხსენება გააკეთა. მოხსენებაში იგი შეეხო პარტიის ისტორიას, პარტიულ დისციპლინას, საორგანიზაციო და თანამედროვე საკითხებს, რის შემდეგ შესდგა პარტიის ადგილობრივი კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ: პასუხისმგებელ მდივნად დ. კაფაფოვი, წევრებათ: მაცუკატოვი, ამფიამიდი, საკიანოვი, და არმ. ნაზარიტიანი.

კვირა დღისათვის მოწვეული იქნა წალკის რაიონის გლეხთა კონფერენცია, რომელსაც შვიდ ათასამდე კაცი დაესწრო. კონფერენციაზე მოხსენების გაკეთება რუსულ ენაზედ მოუხდა ამხ. მგელაძეს, თუმცა უმეტესობას რუსული არ ესმოდათ, მაგრამ იყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც ნალაპარაკებს თათრულ ენაზედ სთარგმნიდნენ. მოხსენებაში ამხ. მგელაძე შეეხო შემდეგს საკითხებს: რევოლიუცია დღემდე, თანამედროვე მომენტი, რევკომები და მათი კონსტრუქცია, რატომ ინიშნებიან რევკომები და ვინ იქნებიან მათ შემდეგ, მიწის საკითხი, სახალხო სასამართლო და მისი კონსტრუქცია ფარგლები, განათლების საკითხი, ფოსტა და საავადმყოფო.

სოფ. ბარმაქსიზის მახლობლად, ვერს ნახევრის დაშორებით, აგებულია ყაზარმები, სადაც 1808 წლიდან მოყოლებული რუსის ჯარი მდგარა, ჯერ ეგერის პოლკის ერთი ნაწილი და ბოლოს ყაზახთა ასეული. ყაზარმებს მარტო კარ-ფანჯრები და ზოგგან იატაკი აკლია, თორემ სხვა მხრივ კარგათ შენახულა. რაიონულ საბჭოთა დაწესებულების მოსათავსებლად წალკას სხვა შენობა არა აქვს და ამიტომ კონფერენციაზედ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიექცა. კრებამ ერთ მხრივ გამოსთქვა ყაზარმების თავის ხარჯზედ შეკეთების სურვილი და ამ ჟამად უკვე დაწყებულია მუშაობა. ხსენებულ ყაზარმებში მოთავსდება სახალხო სასამართლო, საგამომძიებლო კამერა, რევკომი, საავადმყოფო, მილიცია და მოსამსახურეთა ბინები. მიწის საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია კრებაზედ; თუ ამ მხრივ გამწვავებულია წალკაში საკითხი, ამის მიზეზი ადგილობრივ რევკომის მოქმედება-პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. ცხრა სოფელს გარდა დანარჩენი სოფლები ყველანი დაიბენ და ხანდისხან შეტაკებამდე მიდის საქმე. მიწის კომისიას ისე უხერხულად დაუნაწილებია მიწა, რომ უფრო უარესს წარმოადგენა ძნელია. თბილისის მაზრის რევკომის მიწის განყოფილების გამგემ ამხ. მიროტაძემ ადგილობრივ დაიარა ყველა სადაო ადგილები და ხალხის წარმომადგენელთა თანხმობით გაარჩია მათი დავები, მაგრამ ამან მაინც ვერ [illegible] ხალხში და ამიტომ კონფერენციაზედ დამსწრეთა შორის მიწის საკითხმა დიდი ჟრ-ჟური გამოიწვია. საკითხის მოსაგვარებლად იმ ცხრა სოფლის წარმომადგენლებისაგან შესდგა კომისია, რომლებსაც არავითარი დავა არა აქვთ მიწის შესახებ. კომისიის იქ ყოფნის დროს ჩამოვიდნენ ბაშკიჩეთის რაიონის წარმომადგენელნი და ითხოვეს, რომ წალკას და ბაშკიჩეთს შორის იყოს გაყვანილი გზა. ჩვენც გვიპატრონეთო, ამბობდნენ მათი წარმომადგენელნი, თორემ სრულიად უპატრონოთ ვართ დატოვებულიო. სათანადო განმარტების შემდეგ ადგილობრივმა ძალებმა დაიწყეს სახალხო მსაჯულთა სიების შედგენაზედ მუშაობა, რომელიც სულ მოკლე ხანში დამთავრდება: თუ მხედველობაში, მივიღებთ, რომ სახალხო მოსამართლე და გამომძიებელი რევკომის მიერ უკვე ამორჩეულნი არიან წალკის რაიონისთვის, უნდა იმედი გქონდეს, რომ სახალხო სასამართლოს სხდომები სულ მოკლე ხანში გაიხსნება, რასაც დიდი მოუთმენლობით მოელის ხალხი.

ვა—სო.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი.

შრომის დაცვის ქვე განყოფილებებს და ყველა შრომის ინსპექტორებს.

ვინაიდან ადგილებიდან მოდის შეკითხვები სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო დღის განსაზღვრის შესახებ, შრომის დაცვის განყოფილება ამით გაცნობებთ, რომ სავაჭრო დაწესებულებების (სამანუფაქტურო, გასტრონომიული, საყასბო მაღაზიები, საწყობები, რესტორანები, სახაზები, ხილეულობის დუქნები) გაღება-დაკეტვა შრომის ინსპექტორებმა უნდა მიაქციონ ყურადღება შრომის დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით შემდეგ: 1) უნდა იქნას დაცული 8 საათის სამუშაო დღე დიდებისათვის, 2) მცირე წლოვანები და მოზარდები არ უნდა მუშაობდნენ 4 და 6 საათზე მეტს, 3) ყოველი მომუშავე უნდა სარგებლობდეს კვირაში ერთი დღის (24 საათის) დასვენებით.

სავაჭრო დაწესებულებებში (განსაკუთრებით სადაც სურსათს და ხალს ყიდიან) შეიძლება გაღებულ იქნას ნორმალური (8 საათის) დროის ზევით, მხოლოდ იმ პირობით რომ შემოღებული იქნას ორი რიგი (სმენა) მუშა მოსამსახურეებისა, იქ სადაც ასეთები არსებობენ, სადაც დაქირავებული შრომა არ არის მას უნდა მიეცეს ნებართვა ზედმეტი ვაჭრობისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ [illegible] შეუძლებელია მოსამსახურების ყოლა, ვაჭრობის ან სავაჭრო ადგილის სიმცირის გამო.

სადაც მოსახერხებელია მოსამსახურების ყოლა და ასეთებს მწარმოებელი არ იყვანს, არ უნდა იქნეს მიცემული ნებართვა ნორმალური ვადის ზევით ვაჭრობისა. სანამ არ იქნება აყვანილი მოსამსახურენი. ამ ზომით შესაძლებელი იქნება უმუშევრების ადგილებზე გაგზავნა და მოსამსახურეების დათხოვნა-ლიკვიდაციის მოსპობა.

ვინაიდან პროვინციაში, დაბა ქალაქებს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მწარმოებელი მასისათვის ვაჭრობის დროს, რომელიც მხოლოდ სწარმოებს კვირა დღეებში, და ამ დროს სავაჭრო დაწესებულებების დაკეტვა შექმნის არა ნორმალურ პირობებს და შეაფერხებს საქონლის გაცვლა-გამოცვლის მსვლელობას, რაც შეიძლება გამოყენებული იქმნას სპეკულიანტების მიერ თავის სასარგებლოდ (ხელოვნურათ ფასების აწევით), ამისათვის აუცილებლათ საჭიროა კვირა-უქმე დღეები, როცა ბაზრობა წარმოებს მიეცეს ნებართვა სავაჭრო დაწესებულებებს ბაზრობის გათავებამდე თავისუფალი ვაჭრობის, იმ პირობით რომ კვირაში ერთხელ მოსამსახურეებს მიეცემა დასასვენებლად ერთი დღე (კვირა დღის მაგივრათ სხვა დღე).

საერთოდ გაღება დაკეტვის დრო, უნდა განსაზღვრულ იქმნას ადგილობრივი პირობების მიხედვით, და ვაჭრობის დრო არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, სადაც არ არსებობს ორი რიგი (სმენა) მოსამსახურეთა და 15 16 საათს სადაც სმენა არის. მხოლოდ სავაჭრო დაწესებულების გაღება-დაკეტვის დრო უნდა დაწესოთ ისე, რომ სხვა მუშა-მოსამსახურეებმა შესძლონ ისარგებლონ და სავაჭროები გაღებული იქნას მათი თავისუფლების დროსაც.

მოსამსახურეების ორ რიგის შემოღების და ვაჭრობის დროის ნორმაზე ზევით გადიდების შესახებ ნებართვა უნდა მისცეს შრომის ინსპექტორებმა პროფკავშირთა შეთანხმებით. მათთან ერთად უნდა გამომუშავებული იქნეს ადგილობრივი სავალდებულო დადგენილება სავაჭროების დაკეტვა გაღების წესის შესახებ.

დამრღვევნი სავალდებულო დადგენილებისა უნდა მიცემულნი იქმნან პასუხის გებაში, თანახმად ჩვენგან გამოგზავნილი ინსტრუქციისა.

შრომის დაცვის განყოფილების გამგის მოად. ხ. გოდაბრელიძე.

მდივნის მაგ. მ. მგალობლიშვილი

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52

— მე 5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

პროფესიული

ამ მოკლე ხანში გაიხსნება ექვსი თვის ელექტრო ტეხნიკის კურსები, რომელშიაც მიიღებიან: 15 წლიდან წერა-კითხვის მცოდნენი მზეთავთა მოსამზადებლად. 2) წერა-კითხვის მცოდნენი, რომელთაც აქვს პრაქტიკა მორიგისა და საპასუხისმგებლო მორიგისა კურსელებს მიეცემათ გარდა ორმაგი ჯამაგირისა და მუშათა ულუფისა კიდევ ერთი გირვანქა პური დღეში.

მიღება დასრულდება 27 აგვისტოს. ცნობების მიღება შეიძლება მეორე ქალთა გიმნაზიაში კურსების კანცელარიაში. დიდი მთავრის ქუჩა სღ. 5 7 საათზე.

მელითონეთა კავშირს სჭირდება.

მზეთავები, მორიგი მემანქანენი და ელექტრო მონტერები.

მუშათა სასახლე, მელითონეთა კავშირი მე-4 სართული ოთახი № 54. დილის 8-2 საათამდე.

პარასკევს, 26 აგვისტოს საღ. 6 საათზე მუშათა ცენტ. კლუბის შენობაში (პლეხანოვის ქუჩა, № 123). შესდგება: საერთო კრება კავშირის ყველა წევრებისა სრულიად საქართველოს ყრილობაზე პოლიგრაფიულ წარმოების კავშირთა დელეგატების ასარჩევად.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

ცირკულიარი № 1

ყველა ადგილ. კომ. კავშირ. მუშათა განათლებისას და სოციალ. კულტურისას.

მუშაობაში კონტაქტის დასამყარებლად და აგრეთვე ინფორმაციის მიზნით საორგანიზ. განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ადგილკომიტეტებს:

1) სისტემატიურად წარმოადგინონ კავშირის საორგანიზ. ბიუროში ასლი ყველა კრებების ოქმებისა.

2) ყოველთვიურად წარმოადგინონ ორგანიზ. ბიუროში ფულის აღრიცხვა.

თავმჯდომარე ა. მიქაძე.

პასუხისმგებელი მდივანი ა. გარდაფხაძე.

თბილისის მაზრის ყველა რაიკომების პასუხის მგებელ მდივნების საყურადღებოთ

ამა წ. 30 აგვისტოს მოწვეული არის თბილისის მაზრის ყველა რაიკომების პასუხისმგებელ მდივნების კრება ქალ. თბილისში რუსთაველის ქ. № 14. დასწრება ყველა პასუხისმგებელი მდივნების სავალდებულოა. დღიურ წესრიგში განსახილველია შემდეგი კითხვები: 1. თანამედროვე მომენტი და ტაქტიკა. 2. მოხსენება ადგილებიდან, 3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა, 4. ურთიერთობა პარტიულ და რევოლიუციონურ ორგანოთა შორის, 5. დამოკიდებულება ახალგაზრდათა კომკავშირთან, 6. პარტიის გაწმენდა, 7. საორგანიზაციო საკითხები და სხვა მიმდინარე კითხვები.

თ. მ. კ. მდივანი ლადო სუხიშვილი.

თ. მ. კ. საქმეთა მმართველი: ვ. [illegible]